განმარტებითი ბარათი

„რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმების (მდგრადი ურბანული განვითარება – ურბანული მობილობა ბათუმში)“ თაობაზე

2021 წლის 15 დეკემბერს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ მიმართა საქართველოს მთავრობას ვერბალური ნოტით ფინანსური თანამშრომლობის შესახებ, რის საფუძველზე გერმანიის მთავრობა შესაძლებლობას აძლევს საქართველოს მთავრობას მიიღოს ფინანსური დახმარება პროექტისთვის „მდგრადი ურბანული განვითარება – ურბანული მობილობა ბათუმში“.

აღნიშნული პროექტის დაფინანსების მიზნით რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მიერ გამოყოფილი იქნება 15 მილიონი ევროს ოდენობის შეღავათიანი რესურსი სესხის სახით და 1 მილიონი ევროს ოდენობის გრანტი თანმხლები ღონისძიებებისათვის.

პროექტი ითვალისწინებს ურბანული მობილობის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსებას ქალაქ ბათუმში: 1) ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემები (ITS); 2) ველო ინფრასტრუქტურის განვითარება; 3) ავტობუსების სპეციალური სავალი ხაზების გაუმჯობესება-გაფართოება.

ჭკვიანი სატრანსპორტო სისტემის (Intelligent Transport System (ITS) კომპონენტებია: საგზაო მოძრაობის მართვისა და კოორდინაციის ცენტრი (მართვის ცენტრი), საგზაო მოძრაობის ორგანიზების გენერალური სქემის შექმნა, საგზაო მოძრაობის დატვირთვის დონის/საგზაო მოძრაობის მდგომარეობის მონიტორინგი, სატრანსპორტო ნაკადების მართვა, საგზაო მოძრაობის მონაცემების შეგროვება, მათ შორის გზების მდგომარეობის შესახებ, საზოგადოებრივი ტრანსპორტისა და სახანძრო/სასწრაფო დახმარების მანქანების პრიორიტეტულობა შუქნიშანზე, ქალაქის მასშტაბით მწყობრიდან გამოსული „ჭკვიანი“ შუქნიშნების განახლება/შეცვლა, „ჭკვიანი“ შუქნიშნების მოწყობა ახალ წერტებზე, შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, მათ შორის საპარკინგე სივრცეების მართვის, ველო პარკინგის და ველოგაზიარების მიმართულებით.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 ივნისის N907 განკარგულების შესაბამისად რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW), მაინის ფრანკფურტსა და საქართველოს (წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ (მსესხებელი)) შორის 2024 წლის 25 ივნისს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას (მდგრადი ურბანული განვითარება – ურბანული მობილობა ბათუმში).

KfW-ს მიერ შემოთავაზებული სესხის ფინანსური პირობებია:

- სესხის მოცულობა: 15 მილიონი ევრო;
- სესხის ხანგრძლივობა: 15 წელი (მათ შორის შეღავათიანი პერიოდი 10 წელი);
- საპროცენტო განაკვეთი: ფიქსირებული, წლიური 0.75%;
- ვალდებულების გადასახდელი: წლიური 0.25% (ერიცხება სესხის აუთვისებელ ნაწილს).

პროექტის დასრულების თარიღია 2030 წლის 30 ივნისი.

პროექტის განმახორციელებელია თვითმმართველი ქ. ბათუმი.